ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4225284

ნომერი: AR1633767

თარიღი : 28.09.2018

გაცემის თარიღი : 19.10.2018

გაცნობის თარიღი : 23.10.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, წყნეთის გზატკეცილი, N 37;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახაბერ ლაბაძე პ/ნ 01012004980
- თბილისი მცხეთის გას. N 13

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 22 მაისის №3971820 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 28

სექტემბერს NAR1633767 განცხადებით მომართა კახაბერ ლაბაძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 22 მაისის №3971820 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 22 მაისის №3971820 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, გზატკეცილი წყნეთი, N37/ქალაქი თბილისი, გზატკეცილი წყნეთი N37, მიმდებარედ/ქალაქო თბილისის, წყნეთის გზატკეცილი N37-ის მიმდებარედ, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.007.083), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის "ა" ბლოკის კორექტირებული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 22 მაისიდან 2019 წლის 22 სექტემბრის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2018 წლის 22 მაისის №3971820 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანას. კერძოდ, მისი განმარტებით, საცხოვრებელი ფართობი 5930.78 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 5964.43 კვ.მ., საზაფხულო ფართობი: 811.71 კვ.მ-ის ნაცვლად 801.81 კვ.მ. კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 793.8 კვ.მ-ის ნაცვლად 855.1 კვ.მ. შესაბამისად, საერთო ფართობი: 10472.39 კვ.მ-ის ნაცვლად 10557.44 კვ.მ. განმცხადებლის მიერ ასევე წარმოდგენილია გასწორებული გეგმები.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ განმცადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შესაბამისობაშია სამსახურის 2018 წლის 22 მაისის №3971820 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 22 მაისის №3971820 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი: 5964.43 კვ.მ., საზაფხულო ფართობი: 801.81 კვ.მ. კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 855.1 კვ.მ. საერთო ფართობი: 10557.44 კვ.მ.
2. სამსახურის 2018 წლის 22 მაისის №3971820 ბრძანებით შეთანხმებული -6.00, -3.00, 0.00, 20.00, 23.30, 33.20 და 36.50 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების შესწორებული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 22 მაისის №3971820 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 22 მაისის №3971820 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.